

9  
თვეიკვალი  
შაბათი  
1991  
№ 16  
(11649)

# საბჭოთა ქვეყნული

გზეთი გზოლის  
1921 წლიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი პრეზიდიუმად დანიშნა:

- სოხის რაიონში — თენგიზ მურმანის ძე ქაჯაია
- თელავის რაიონში — ავთანდილ ფარნათოვის ძე რცხილაძე
- გურჯაანის რაიონში — შალვა ავთანდილის ძე წინფალაშვილი
- სამტრედიის რაიონში — ზვიად ვალიკოს ძე ძიძიგური
- ოზურგეთის რაიონში — პაატა ავთანდილის ძე თოიძე
- ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონში — თამაზ ომარის ძე შორაშვილიანი
- ყაზბეგის რაიონში — შირიან სერგოს ძე წიკლაური
- წალენჯიხის რაიონში — ზურაბ შალვას ძე გუჩუა
- მარნეულის რაიონში — არჩილ ოთარის ძე მახარაძე
- ქალაქ ფოთში — თენგიზ ნახტორის ძე გარამია
- გორსა და გორის რაიონში — ომარ შალვას ძე ჩუბინიძე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი  
საბჭოს პრეზიდიუმი

## დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო  
ჯილდოების დაწესების შესახებ  
კანონპროექტის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ადგინა:

- გამოქვეყნდეს პრესაში სახალხო განხილვისათვის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის მიერ მომზადებული კანონპროექტი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ.
- გამოცხადდეს კონკურსი სახელმწიფო ჯილდოების (ორდენები, მედლები, საპატიო წოდების ნიშანი, საპატიო სიგელი) ნიშნების შესაქმნელად.
- ზემოაღნიშნულმა კომისიამ გააანალიზოს განხილვის დროს შემოსული წინადადებები და შესწორებული კანონპროექტი განსახილველად წარმოადგინოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში 1991 წლის 1 მარტამდე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ფ. გამსახურდია.

## პროექტი

საქართველოს რესპუბლიკის

## კანონი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო  
ჯილდოების დაწესების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

- დაწესდეს საქართველოს რესპუბლიკის შემდეგი სახელმწიფო ჯილდოები:  
**ორდენები და მედლები:**  
დავით აღმაშენებლის ორდენი — პირველი ხარისხის, მეორე ხარისხის;  
ილია მართლის ორდენი;  
მედალი „მშენებლის სამსახურისათვის“;  
მედალი „მშენებელი მამაცობისათვის“;  
**საპატიო წოდება**  
„ქართველის დედა“.  
**საპატიო სიგელი**  
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელი.
- დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორდენებისა და მედლების, საქართველოს რესპუბლიკის საპატიო წოდებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელის სტატუტი.
- საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დასაწესებლად ხარჯების გამოყოფის საკითხი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე.

დასახრული მე-2 გვ.

## პითარება სხინვალში

8 თებერვალს, დილის 7 საათზე ოსი ექსტრემისტების ჯგუფი, დაახლოებით 30 კაცი, თავს დაესხა ცხინვალის რაიონის ქართულ სოფელს თამარაშენს და ავტომატების ცეცხლი დაუშინა მოსახლეობას. საქართველოს პოლიციის თანამშრომელთა საპასუხო სროლის შემდეგ ექსტრემისტებმა უკან დაიხიეს და მიიმალნენ. მოსახლეობასა და პოლიციის მუშაკებს შორის მსხვერპლი არ არის. არავინ დაჭრილა.

7 თებერვალს გაზეთმა „ქრანიაი ზვეზდამ“ იმავე საღამოს კი პროგრამა „ერემიამ“ გამოაქვეყნა ამიერკავკასიის სახელმწიფო ოქტის სარდლის გენერალ პატრიკევის პასუხი ბატონ ზვიად გამსახურდიასადმი იმ წერილზე, რომლითაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე სარდლი-

საგან მოითხოვს პასუხი მოპკითხონ სამხედრო მისამსახურებს, რომლებიც იარაღით ამარაგებენ ოს ექსტრემისტებს.

პატივცემული სარდალი აღნიშნავს, ექსტრემისტებს მოლოდინი თვითნაკეთი იარაღი აქვთ, მათ არავითარ შემთხვევაში არ ექნებათ რაკეტები, მათ შორის ტანკსაწინააღმდეგო უმარათავი რეაქტიული ჭურვები, რომლებსაც შეეუღლებოდა რენიდან უშვებენო.

8 თებერვალს პროგრამა „ერემიამ“ კორესპონდენტს საქართველოში ქალბატონ ნანა ლონდაძეს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანმომიებო ჯგუფმა საშუალება მისცა გადაეღო ეს რაკეტები და კიდევ სხვა იარაღი, რომელიც ოს

ექსტრემისტებს ჩამოერთვათ ცხინვალში.

იმასაც დავუმატებთ, რომ ცხინვალში განლაგებულია სამხედრო შეეუღლებუნი პოლიცი. ასე რომ, ექსტრემისტებს ქურავ-რაკეტების შესაძენად შორს წასვლა არ დასჯირდებოდათ.

და კიდევ ერთი, პროგრამა „ერემიამ“ გადმოსცა, ქართველმა „ბოვეკებმა“ სროლა აუტყენეს ავტომანქანას, რომელიც სამხედროები ისხდნენ, მაგრამ არაფერი უთქვამთ იმაზე, რომ 6 თებერვალს უკვე მეორე ზნაურის რაიონის სოფელ ავენეს თავს დაესხა საბჭოთა არმიის ჯავშანტანკსაპორტიორი, საიდანაც ესროლეს ორი ყუმბარა და ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინეს სოფელს. არც იმას ამბობენ, რომ სამხედროების მიერ უკვე დაჭრილია საქართველოს პოლიციის 4 თანამშრომელი.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

საქინფორმი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, შეხვდა რსფს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატს, უზენაეს საბჭოს არსებული სინდისის თავისუფლების, რწმენისა და ქველმოქმედების კომიტეტის მოწვევით უფლებების დაცვის ქვეკომისიის თავმჯდომარეს, ქალბატონ ვალენტინა ლინკოვას და საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეს-მდივანს ბატონ თენგიზ დიხაშინას.

უწმინდესმა და უნეტარესმა ისაუბრა სტუმრისათვის საინტერესო რამდენიმე საკითხზე, გან-

## უხვადრა პატრიარქის რეზიდენსიაში

მარტა, რომ მისი ბრძანებულება აღამიანის სიცოცხლის ხელყოფის შესახებ შეიქმნა საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ პარტიათა მწვევე ურთიერთდაპირისპირების ვითარებაში და მისი ერთადერთი მიზანი მათ შორის ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის ხელშეწყობა იყო.

ამ ბრძანებულების კეთილსმყოფელი გავლენა ნათლად გამოჩნდა.

სტუმრის კითხვის პასუხად, უწმინდესმა და უნეტარესმა გააკეთა განცხადება, რომ იგი ღრმად დადარწმუნებული ე. წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაჭრის შესაძლებლობაში: მისი აზრით, ამის რეალიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ გარეშე ძალების ჩარევა გამოირიცხება.

პატრიარქმა თქვა, რომ იგი დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს რსფს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუშაობასა და ბორის ელცინის კეთილშინიერ და მიზანდასახულ პოლიტიკის და უსურვავ რუსეთის დემოკრატიულ ძალებს წარმატებები თავიანთ საქმიანობაში.

პატრიარქმა იმედი გამოთქვა, რომ ღვთის შეევენით ერთა თვითგამორკვევის პროცესის წარმატებით დასრულება როგორც საქართველოში, ისე რუსეთში, რაც კიდევ უფრო დაახლოებს ამ ერთმორწმუნე ხალხებს.

შეხვედრის დასასრულს, სტუმარმა აღნიშნა ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერების მაღალი დონე, მრავალპარტიული უზენაესი საბჭოს მყოფიერი მოღვაწეობა და გამოთქვა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოების მკიდრო ურთიერთობის დიდი სურვილი.

ქალბატონმა ვალენტინა ლინკოვამ შენიშნა, რომ უწმინდესთან და უნეტარესთან შეხვედრამ, კიდევ ერთხელ დაარწმუნა საქართველოში აღამიანის რელიგიური უფლებათა დაცვის უზრუნველყოფაში.

(საქინფორმი).



(დასასრული)

### საპარტევლოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანებისა და მდიდრების, საპარტევლოს რესპუბლიკის საპარტიო წოდებისა და საპარტევლოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპარტიო სიგელის სტატუსი

1. საპარტევლოს რესპუბლიკის იმ მოქალაქეთა დასახილდობ-  
ლად, რომელთაც განსაკუთრებული პირადი წვლილი მიუძღვის სა-  
ქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური  
და კულტურული ცხოვრების აღორძინების, რესპუბლიკის თავდაც-  
ვისუნარიანობის გაძლიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის გან-  
მტკიცების, ქართული მეცნიერების, სახალხო განათლების, კულ-  
ტურის, ლიტერატურის, ხელოვნების, ჯანმრთელობის დაცვისა და  
მომსახურების სფეროს შემდგომი განვითარების საქმეში, დაწვე-  
ბულია:

**სახელმწიფო ორდენები და მედლები:**  
დაეთი აღმაშენებლის ორდენი — პირველი ხარისხის, მეორე ხა-  
რისხის;

ილია მართლის ორდენი;  
მედალი „მამულის სამსახურისათვის“;  
მედალი „მხედრული მამაცობისათვის“.

**საპარტიო სიგელი**  
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპარტიო სიგელი.

2. დაეთი აღმაშენებლის პირველი ხარისხის ორდენით ჯილდოვ-  
დებიან გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწენი, სამოქალაქო, სამხედ-  
რო და სასულიერო პირნი ქართველი ერის წინაშე უდიდესი ღვაწ-  
ლის, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღორ-  
ძინების საქმეში შეტანილი უთვალსაზრისო პირადი წვლილისათვის.

3. დაეთი აღმაშენებლის მეორე ხარისხის ორდენით ჯილდოვდ-  
ებიან სამოქალაქო, სამხედრო და სასულიერო პირნი საქართველოს  
დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, რესპუბლიკის თავდაცვისუნა-  
რიანობის, უცხო ქვეყნებთან ეკონომიკური და კულტურული ურ-  
თიერთობის განმტკიცებაში, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიე-  
რების, სახალხო განათლების, კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნ-  
ების, მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმუ-  
ლობის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და მომსა-  
ხურების სფეროს განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლი-  
ლისათვის.

4. ილია მართლის ორდენით ჯილდოვდებიან მეცნიერების, სახალ-  
ხო განათლების, კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების უთვალ-  
საზრისო წარმომადგენლები და სასულიერო პირნი საქართველოს  
სულიერ და კულტურულ საგანძურში შეტანილი უდიდესი წვლი-  
ლის, ხალხის საყოველთაო აღიარებისა და პატივისცემის მოპოვ-  
ებისათვის.

5. მედალი „მამულის სამსახურისათვის“ ჯილდოვდებიან საქარ-  
თველოს რესპუბლიკის მოქალაქენი რესპუბლიკის მრეწველობის,  
მშენებლობის, კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურ-  
ნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერების, სახალხო განათლე-  
ბის, კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების დარგებში განსა-  
კუთრებული დამსახურებისა და უმწიკვლო სამსახურის, ქართველი  
ხალხის ეროვნული აღორძინების საქმეში შეტანილი დიდი წვლილი-  
სათვის.

6. მედალი „მხედრული მამაცობისათვის“ ჯილდოვდებიან საქარ-  
თველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სამსახურების, ქარ-  
თული მილიციის მუშაკები და ცალკეული მოქალაქენი საქართვე-  
ლოს რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის საქმეში, საზოგადოებ-  
რივი წესრიგის დამყარების დროს და საგანგებო ვითარებაში გა-  
მოჩენილი პირადი მამაცობისა და ქართველი ერის წინაშე სხვა საბ-  
რძოლო დამსახურებისათვის.

7. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორდენებითა და  
მედალებით დაჯილდოვება შეიძლება სიკვდილმწმდომაც.

8. „ქართვის დედის“ საპარტიო წოდება მიენიჭებათ დედებს,  
რომლებსაც ჰყავთ ხუთი და მეტი არასრულწლოვანი შვილი, ამას-  
თან, თუ ბოლო შვილს შეუძარდა ერთი წელი მაინც, აქვთ  
მტკიცე ოჯახი და სამშობლოს უზრდინი მადალი ზნეობის, შრო-  
მისმოყვარე შვილები.

9. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპარტიო სიგე-  
ლით ჯილდოვდებიან საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი სო-  
ციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანათა გადაწყვეტაში  
შეტანილი დიდი წვლილის, სახალხო მეურნეობის, მეცნიერების,  
კულტურისა და შრომითი საქმიანობის სხვა სფეროებში ხანგრძლი-  
ვი უმწიკვლო სამსახურისათვის, უცხო ქვეყნებთან ეკონომიკური და  
კულტურული ურთიერთობის განმტკიცებისათვის, სამხედრო მო-  
სამსახურენი — საუკეთესო საბრძოლო მაჩვენებლებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპარტიო სიგელით  
შეიძლება დაჯილდოვდნენ აგრეთვე უცხოელი მოქალაქენი და სა-  
ქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის არმქონე პირები ქარ-  
თელი ხალხის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

### საპარტევლოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პარტიული

## დადგენილება

საპარტევლოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი  
ადგენს:

1. სახელმწიფო ჯილდოების შესახებ რესპუბლიკის ახალი კანონ-  
მდებლობის შემუშავებაზე შეწყდეს:  
ა) სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით სსრ  
კავშირის შემდეგი ჯილდოებით: „დედობის დიდების“ ორდენითა  
და „დედობის მედალი“, მედალით — „საზოგადოებრივი წეს-  
რიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურებისათვის“, „ხანძარზე მა-  
მაცობისათვის“, „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ და „შრო-  
მის ვეტერანი“ დაჯილდოება;

ბ) საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპარტიო  
სიგელით დაჯილდოება და საქართველოს სსრ საპარტიო წოდებების  
მიანიჭება.

2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, გა-  
ნათლებისა და მეცნიერების მუდმივმა კომისიამ 1991 წლის 10 თე-  
ბერვალზე წარმოადგინოს წინადადებები საქართველოს რესპუბლი-  
კის სახელმწიფო ჯილდოების შემოღების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
**ზ. ბაგნასხარიძე.**

თბილისი, 1991 წლის 1 თებერვალი.

### რეპლიკა

## შობი ენას, გოლო გაკვირვებს!

### მსირა კოვინტარი ბატონ

### ავთანდილ მარკიანის წერილისა

ორიოდე სიტყვა გვინდა მოგა-  
ხსენით საქართველოს დამოუკი-  
დებელი კომპარტიის ცი-ს ვახუთ  
„პროგრესის“ პირველ ნომერში  
გამოქვეყნებულ ბატონ ავთანდი-  
ლ მარკიანის წერილზე —  
„ფრთხილად წინ საშინო დამა-  
გობა“, რომელიც წარმოადგენს  
პასუხს ჩვენს გაზეთში დასტამბ-  
ულ ბატონ თამაზ აღამიას წერი-  
ლზე — „ფრთხილად წინ საშინო  
თავდადობა“, ანუ წინ კომუნი-  
სტებია“ (იხე, ჩვენც მზად ვიყავით  
პასუხის დასაბუქვად). ჩვენო მკი-  
თხველო, გეხსოვებათ, რომ რედა-  
ქციის პოზიციას მეტ-ნაკლებად  
გამოინდა „ახალგაზრდა ივერიე-  
ლის“ 5 თებერვლის ნომერში  
დამბეჭდილი კოლექტიური წერი-  
ლის მიწაწერა. ჩვენ არ შევუდ-  
გეთ ბატონ ავთანდილ მარკიან-  
ის წერილის გამოწველივით გა-  
ხილვის, მხოლოდ შეგახსენებთ  
რამდენიმე ფრაგმენტს, რომელიც  
ჩვენი აზრით, გარკვეულ კომენ-  
ტირებას საჭიროებს.

„კომპარტია პირველი დაგე-  
რავთ ტაშს, თუ ხალხს თქვენი  
პოლიტიკა მოეწონება, დღესდღე-  
ობით კი მოსაწონს ბევრს გერა-  
ფერს ვეღვათ“.

„გზა დაგვიმთვ, ხელისუფლება  
ჩაგვაბარეთ (აღმათ, უნდა იყოს —  
ჩაგვაბარეთ — რედაქცი), მაგრამ რო-  
გორია შედეგი“.

ჯერ არავითარი შედეგი არ ჩა-  
ნს. ერთადერთი რასაც ვხედავთ,  
ეს არის უღვთო უმადურობა (?!) —  
რედაქციის ურთიერთ ლანძღვა-გინება  
პრესასა და მიტინგებზე, ქუჩური  
ქორჩილი, რომელთაც არავითარი  
სასიკეთო გავლენა არ მოუტე-  
ვიათ ერის ცხოვრებაზე. პირიქით,  
კიდევ უფრო გართულდა და დაიძ-  
აბა ვითარება, ბანდიტიზმი, მკვლე-  
ლობანი, ძარცვა, ფსებების აწვევა,  
ცარიელი მალაზიები, ინფლაცია,  
მწვავე დეფიციტი... აი, თქვენი  
მოღვაწეობის პირველი შედეგები.

იმის ნაცვლად, რომ ამ პრო-  
ბლემებს მიხედვით, თქვენ და  
თქვენი დამკვიდრე კონკრეტულ  
შუროთ და დეარძლით, ძმათა მკვ-  
ლელები მუდღის გადგივებით ფი-  
ტავთ ერის სასიცოცხლო ენერ-  
ჯის და კატასტროფისკენ მიგყ-  
ავთ საშუალებად“.

ვის მიმართავენ ბატონი ავთან-  
დილი, ვინ გაართულა ყველაფე-  
რი, ვის მოღვაწეობას იწვევებს,  
ვისაა პოლიტიკამ ვერ მოახდინა  
სასიკეთო გავლენა ერის ცხოვ-  
რებაზე, ვისი დამსახურებაა“ —  
ინფლაცია, ცარიელი მალაზიები,  
ფსებების აწვევა, ვის მიჰყავს კატ-  
ასტროფისკენ საშუალებო? ვით-  
ომ ყველა ეს ბრალდება კერძო  
პირის, ბატონ თამაზ აღამიასად-

მია მიმართული საეჭვოა. ლო-  
გიკურად, ასეთი „დამნაშავე“  
მხოლოდ საქართველოს ამჟამინდელ-  
ი ხელისუფლება უნდა იყოს,  
მხოლოდ მის ხელეწიფება ახეულა  
„დამნაშავე“ ჩაიდინოს და ერი  
კატასტროფისკენ წაიყვანოს. კე-  
რო პირს, თუნდაც ვკვდეთ, რა თა-  
ნამდებობისაც არ უნდა იყოს ის,  
ამის შესაძლებლობა, საეჭვოა,  
პქონდეს. ესე იგი, მხოლოდ უზე-  
ნავს საბჭოს და რესპუბლიკის მთა-  
ვრობას მიუყვანია ერი კატასტრო-  
ფებში და ქალაქები კომუნისტებმა  
შექმნეს. თქვენ ჯერ არაფერი შე-  
გვიქმნით. როცა უკეთესი შექმნით,  
მაშინ ჩავთვლით კომუნისტებთან  
დიპლომატიას და ურთიერთობის რი-  
რსად“. გესმის, მკითხველო, თურმე  
კომპარტია სულ შევებაშია და  
სულ აყვავებაშია, იმის ზრუნვაშია,  
ვის რა სიყვით გაუკეთოს, სხვები  
კი (ვინ?) სულ ახგვრენ, ფსებებს  
უმატებენ, აღორძინებენ ყველას და  
ყველაფერს. ამას ჰქვია, გადმა შე-  
ეღვათ, გამოღმა დაგვრებათ. ესეც  
არაფერი, თურმე, ვიდრე 70 წლის  
განმავლობაში კომუნისტური რეჟი-  
მის მიერ დანგრეულ საქართველოს  
არ ავაშენებთ, ყველა ნგრევისა და  
გაჩაბების სულისჩამდგმელი კო-  
მპარტია დიპლომატიის დირსადიც არ  
გვცნობს.

ყოველივე ამის შემდეგ, რო-  
გორ ვიწმუნეთ ბატონი ავთან-  
დილის სიტყვები: „მინდა დავარ-  
წმუნო ეროვნული მოძრაობა, პა-  
რლამენტი და მთავრობა, რომ სა-  
ქართველოს დამოუკიდებელი კო-  
მპარტია მათ შორის უდგას“. ვის,  
ვის უდგებათ მხარში, ბატონო  
ავთანდილი, იმ ეროვნული მოძრა-  
ობას, პარლამენტსა და მთავრობას,  
თქვენი სიტყვებით, კატასტროფი-  
საკენ რომ მიჰყავს ერი (?). ვიმეო-  
რებთ, გულუბრყვილობაა იმის  
მტკიცება, რომ ეს ბრალდება კე-  
რო პირის, ბატონ თამაზ აღამიას  
მიმართა თქვენი.

ბატონ ავთანდილის აზრით, დი-  
დად მაღალია უნდა ვიყოთ წინა  
კომუნისტური მთავრობის. „ეს  
არის უღვთო უმადურობა“, „არჩე-  
ვენებში კომპარტიის მხრივ მასე-  
ბის მოტყუებას და შანტაჟს ადგი-  
ლი რომ ჰქონოდა, პარლამენტი  
თქვენ სიზმარშიც არ მოგვლახდ-  
ებოდათ“ — თუ ახლანდეს ავტორი.  
(აქაც გაუტყვევლო, თუ ვის მი-  
მართავს ავტორი). იქნებ, უმჯობე-  
სი იყო, ბატონ ავთანდილს გაეხსე-  
ნებინა თუნდაც ის, თუ როგორი  
ძალისხმევა დასჭირდა ეროვნულ  
მოძრაობას, რომ განსახილველად  
გამოეტანა უკვე შეუშუავებული  
საარჩევნო კანონები და ან ის, შე-

მდგომ უკვე სესიაზე როგ-  
ორ ცდილობდა მაშინდელი  
ხელისუფლება პირში ბუ-  
რთი ჩაენარა დარბაზში ლამის ძა-  
ლით შემოსული ეროვნული მოძ-  
რაობის წარმომადგენელთათვის.  
ისიც უნდა ითქვას, დღემდე გვე-  
გონა, რომ არჩვენებში ეროვნუ-  
ლი ძალების გამარჯვებას ჩვენს  
ამომრჩევლებს, ხალხს უნდა ვუმა-  
ლოდეთ. „ცხოვრებაში“ გამოქ-  
ვეყნებული წერილიდან კი ირკვევა,  
თურმე ეს კომპარტიის დამსახუ-  
რება ყოფილა. თუმცა მსგავსი და-  
სკვნები არაა გასაკვირი, როცა წე-  
რილი ასეთ წინადადებას ვკით-  
ხულობთ: „ის, ვინც კომუნისტე-  
ბის კაცთმოძულეობაზე წერს, თვი-  
თინ არის საეჭვო სულის პატრონი  
და კაცთმოძულე“ (დღეს ამაზე  
თითქმის მთელი პროგრესული  
მსოფლიო წერს, ასე რომ, ძალზე  
მომრავლებულია საეჭვო სულისანი  
და კაცთმოძულენი); „ვინც ბრმა არ  
არის, ხედავს, რომ კომუნისტური  
მოძღვრება ყველაზე ჰუმანური  
მოძღვრებაა“ (როგორ ჰგავს ეს  
ჩვენი ადრეული ხელმძღვანელე-  
ბის განცხადებას — ბრმა უნდა  
იყო, სოციალიზმის წარმატებში  
ვერ დაინახოვო).

„ხალხს სამშვიდვე, სამართლი-  
ანობა, საცხოვრებელი ბინა, ჩაცმა,  
დახურვა, პური უნდა, ხორცი, ქა-  
რაქი, რძე და არა თქვენი დემოგო-  
გია და პოლიტიკური ისტერია“.  
ესეც ძველი მელოდიებია. თავის  
დროზე კომუნისტები საქართველო-  
ში რუსის არმიებს სწორედ სოცი-  
ალური გარდაქმნების დროში  
შემოუძღვნენ. სოციალისტის პრი-  
მატი პროგნოზზე — აი, მათი ლო-  
ზუნგი 70 წლის მანძილზე. იცოც-  
ხლეთ, ბატონო ავთანდილი, მართ-  
ლაც გვიქვრდება სამართლიანობა,  
ბინა, ჩაცმა, პური, ხორცი და ქა-  
რაქი, მაგრამ ერთი რამ გამოგა-  
ჩაი, მთავარზე-უმთავრესი — პი-  
რველ რიგში ხალხს თავისუფლება  
უნდა და ამისათვის ის ყოველგა-  
რი გაჭირვების ასატანდა მზად.

ბატონ ავთანდილ, ეს რეპლიკა  
არც დღევანდელი კომუნისტების  
ად, მით უმეტეს არც თქვენს საწი-  
ნააღმდგომარ არის დაწერილი. პი-  
რიქით, რასაც კარგა გააკეთებს კო-  
მპარტია, ჩვენც ის გვიინდა და ამას  
მივსალმებთ. პირადად თქვენზე  
ერადკვირებო მოსულმა ლემშენი-  
ერას, ნაგების, ლელაშხის, ხაიშის,  
ქიჭქიშის, გოლოეთის, წერეთლისა  
და სიონის მცხოვრებლებმა ბევრი  
კარგი გვითხრეს. მათი წერილი კი-  
დაც გამოვაქვეყნეთ. მაგრამ, უბ-  
რალოდ, უფლება არ გვქონდა ჩვე-  
ნი ეჭვები და შეშფოთება არ გა-  
გვეზიარებინა მკითხველთათვის.  
„ახალგაზრდა ივერიელის“  
რედაქცია

### საპარტევლოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კომისიებში

## ჩვენს გვერდით არის რადიასიული საფრთხე

**რესპუბლიკარი** ბევრთა სა-  
რეაბილიტაციო ცენტრის ტერიტო-  
რიაზე რადიასიური ფონი და-  
საშვებ ნორმებს აღემატება... თე-  
დახუთჯერ! სწორედ აქ გაიმართა  
საქართველოს უზენაესი საბჭოს  
ჯანმრთელობის დაცვისა და სოც-  
იალური დაცვის საკითხთა ქვეკო-  
მისიისთან არსებული რესპუბლი-  
კის წინააღმდეგ რადიაციული და  
ქიმიური ლივერისის შედეგების  
შემსწავლელი დროებითი კომისი-  
ის პირველი სხდომა. მის შემად-  
გენლობაში შევიდნენ სრულიად  
საქართველოს წმინდა ილია მარ-  
თის საზოგადოების, კელსინკის  
კავშირის, თბილისის სახელმწიფო  
და საქართველოს ტექნიკური უნი-  
ვერსიტეტის, სამედიცინო ინ-  
სტიტუტის, სანიტარიისა და პი-  
ჯივის ინსტიტუტის, სრულიად  
საქართველოს ეკიმთა ასოციაცი-  
ის, საქალაქო სანიტარსადგურის,

საქართველოს „მწვანეების“ მოძ-  
რაობის კომპეტენტური წარმო-  
ადგენლები, იურისტი, საქინფო-  
რმის კორესპონდენტი.  
სხდომა გახსნა სრულიად საქა-  
რთველოს წმინდა ილია მართლის  
საზოგადოების თბილისის განყო-  
ფილების გამგეობის წევრმა, მე-  
დიცინის მეცნიერებათა კანდიდა-  
ტმა მაიკლი ჩხიკვაძემ. მან თქვა,  
რომ 1986 წლიდან დღემდე უკ-  
რანის, ბელორუსის, რუსეთის  
ფედერაციის ოლქებში, რომ-  
ლებშიც ჩერნობლის კატასტროფ-  
ის ზემოქმედება განიცადეს, შე-  
მაქვთ რადიონუკლიდების ნიჭი-  
ერებებით მოწამლული დიდძალი  
პროდუქტები. ჩერნობლის ტრა-  
გედიაზედაც სასურსათო პროდუქ-  
ტებში რადიონუკლიდების ნორ-  
მები არ ყოფილა არა მარტო სა-  
ბჭოთა კავშირში, არამედ განვი-  
თარებულ კაპიტალისტურ ქვეყნ-

ებშიც. ჩერნობლის შემდეგ სსრ  
კავშირის ჯანმრთელობის დაც-  
ვის სამინისტრომ დაამტკიცა ბარ-  
ბაროსული ნორმატივეტი. მაგალ-  
თაოდ, ხორციში — 3 700 ბეკერელ-  
ი ერთ კილოგრამზე (ბე 1 კგ-  
1988 წელს ნორმაში შეამცირეს  
2 260 ბე 1 კგ-ზე).

საზოგადოებრიობის პროტესტ-  
ის მიუხედავად, რესპუბლიკის სა-  
ნებდისდგურს პროტესტი არ  
განუტყვადებია ესოდენ არაადამი-  
ანურ ნორმატივეტზე და ისინი  
1990 წლის აპრილამდე სრულდ-  
ბოდა.

კომისია გაეცნო სსრ კავში-  
რის მთავარი სანიტარული ექს-  
მის მოადგილის რეკომენდაციას,  
რომელიც გაიგზავნა საქართველო-  
ს სს რესპუბლიკასა და სხვა რე-  
სპუბლიკებში, რომელშიც შევი-  
თერთუ წერია, რომ „3 700 ბე/კგ  
რადიონუკლიდების ნიჭიერების შემ-  
ცველობას ხორცის ნედლეულს  
გზავნიან მოხარბული და ნახე-  
რად შებოლოლი ძხენი, სოსისის,  
სარდლის გამოსამუშავებლად  
შეუზღუდავად“. უნდა აღინიშნოს,  
რომ მაკატეს რეკომენდაციით  
ზღვარი შეაღწენს 600 ბე/კგ-ს.  
საკვარი „ნორმების“ შედეგად  
საქართველოში 1986 წლის შემ-  
დეგ ორჯერ გაიზარდა მწვევი ლე-  
დახარული მე-7 გვ.



# წერილები „ახალგაზრდა იუვერიელს“

კორესპონდენცია, რომელიც ამ წერილს ახლავს, 90 წლის წინათ გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“. იგი სრულიად მიუხედავად დღევანდელი საქართველოს სიტუაციისა, მის მთავარ პირობებსა და წარმოადგენს ერთ-ერთ მამოძღვებელ სახუტს იმის შესახებ, რომ ეთნოკრიზისები ჩვენს ხალხში არ არსებობს და ახლაც იმპერიის მმართველი ხასხლის კარიდან მომდინარეობს. რომ იგი ცარიზმის ეპოქაში ბევრად უფრო შერბილებულ-შენიღბულ და კომპრომისულ ხასხათს ატარებდა, ვიდრე კომუნისტური მმართველობის პირობებში, რაც იქიდანაც შეტყობება, რომ სტატიის ავტორს, ვინმე „ვიოს“ კიდევ შერჩენია რუსი მონარქისგან დახმარების იმედი.

ამ კორესპონდენციის კიდევ ერთხელ გამოქვეყნება, ვფიქრობ, რომ აუცილებელია იმიტომ, რომ საქართველოში მცხოვრებმა ყველა ეროვნების ხალხმა კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაინახოს პირველხარისხის წყარო იმ ხიზინძურისა, რასაც ერთა შორის უფლებია და საშვილიშვილო მტრობის გაღვივება ჰქვია.

## პატივისცემით კობა ხალოძე, საქართველოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო ზარისხის მაძიებელი.

### წერილი ახალგაზრდა იუვერიელს

დ. გულაუთა მდებარეობს სამხრეთით სოხუმიდან 42 კმ-ის მანძილზე. მდებარეობა მშვენიერი აქვს და რამდენიმე საუკუნით მალა-

ლია ზღვაზე მაშინ, როდესაც სოხუმი სიმაღლით ზღვის თანასწორზე იყო. ბევრი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც გულაუთა დაარსდა. 1880 წ. ვინმე ალექსანდროვიჩის (ნაწილის უფროსის) წინადადებით

ს. ლინინმა მოვაკრე მეგრელები და ორიოდე ხონელი, თუ გურულები ზღვაუთაში გადმოსულან, რომელიც იმ დროს ვაუვალ ქაობიან ტყეს წარმოადგენდა და რომელიც სავეს იყო სხვადასხვა საშიში მხეცებით. მეგრელებს, რა საკვირველია, ლინინის დატოვება არ უნდოდათ, რადგანაც ლიონი უწინ და ახლაც ითვლება შესანიშნავ სოფლად თავისი ბუნებრივ სიმდიდრითა და მდებარეობით, მაგრამ ალექსანდროვიჩი თურმე ურჩევდა: „აქ ზღვის პირია, ოღესმე შემანიშნავი ნავთსადგური იქნება და მასთან დიდი მოძრაობაც“. მეგრელებმა მართლა მოინდომეს, შეუდგნენ ზღვაუთის რკინიგზისა და ქაობის ამოშრობას, მაგრამ ხშირად ენერგია ეკარგებოდათ და ამბობდნენ: „ნუთუ აქ ოდესმე, ამ დამალულ ქაობში, რაიმე მოძრაობა იქნება“. ალექსანდროვიჩი კი ამხევებდა მათ და იფაღ აძლევდა

დესეტინა მიწას (დესეტინას 25-30 მანეთი). რაც კი რამე გაჩნდათ და მოუგიათ რამე, ყველა აქ ჩამოყარეს ქაობის ამოშრობად და რამდენსამე ხნის შემდეგ აქ ქაობის ნაცვლად წამოვიჭრულ ქაობა მშვენიერი კონტა დუქნები. ცოტა რომ სული მოიდგეს, შეუდგნენ ეკლესიის აშენებასა და ხინებული ეკლესიის გააყვითეს. პირველად მღვდელს სხვა სამრევლოდან იწვევდნენ, რადგან აქ გაჩერება არავის ჰსურდა; შემდეგ თავიანთი საკუთარი მღვდელიც იშოვნეს და ჯამაგირიც თავიანთი ჯიბიდან დაუნიშნეს. რა-კი მაგრად მოიკიდეს ფეხი, სკოლაც დააარსეს და მასწავლებელს თვითონვე ინაზავდნენ თავიანთს ხარჯზედ. რამდენისამე ხნის შემდეგ მთავრობამ კეთილ ინება და მასწავლებლებს ჯამაგირი დაუნიშნა, სკოლამ კი ორკლასიანად გადააყვითა. ესე კი დიდებული შენობა აგებული სახელმწიფო ხარჯზედ, რომლისკურთხევაც 3 სექტემბერს იყო. ამ რიგად უმთავრესი ღვაწლი გულაუთის დაარსების საქმეში სულ მცირე ქართველობას მიუძღვის. რაკი ჩვენებმა ფეხი მოი-

კიდეს და ცოტაოდენი მოძრაობა გაჩნდა, გულაუთაში დასასახლებლად ბევრი სხვადასხვა ჯურის ხალხი გამოემგზავრა: სომეხი, ბერძენი, თათარი და ჩვენებიც. ბოლოს მოსულს ხალხს აქ მზად დაუბნდა დასასახლებლად მეგრელებსგან გაკაფულ-გასწორებულად დავილი, მაგრამ ქართული ანდრის არ იყოს: „გარეთულმა თავგამაშინაური თავი გააგდო“-ო, კიქნა იმის დაეძვარა ქართველებს: ახალმოსულებმა მასპინძელ-ქართველებს გულაუთიდან დევნა დაუწყეს. ნეტავი ვიტყვი, რა დაუგვიძებია? იმედია მთავრობა ასე არ დასტოვებს აქ ერთ მუქა ქართველებს, რომ ყურადღება არ მიაკვირდეს და არ გამოიკვიროს კარგად. 1880 წ. ე. ი. გულაუთის დაარსების დროს, ვინ გაჩნდა აქ პირველად და ვინ გაკაფა და გაასწორა აქაური უდაბური ტყე? ვინ ააწინა ეკლესია, სკოლა, ვინ დააარსა წიგნთ-საცავ-სამკითხველო და სხ.

ბიოგრაფია  
გაზეთი „ივერია“ №208 19 სექტემბერი 1900 წ.

### წავიკითხა წლებს 31 იანვარს

გაზეთ „ახალგაზრდა იუვერიელში“ გამოქვეყნებული რომან მიმინო-ვილის სტატია, რომელიც ლაპარაკი იყო აზერბაიჯანულ გაზეთ „ელმში“ ვინმე შამშირის პროვოკაციული მასალის პუბლიკაციაზე, რომელიც ჩირქს სცებდა არა მარტო ქართველი, არამედ აზერბაიჯანელი ხალხის დირსებასა და პატიოსნებას. პირველად ჩემს სიტყვებში თავი ვერ მოგუყარე საქართველოს, რომ გამოემხატა ჩემი აღზრდა და წყენა. სადამდე შეიძლება დავიკვლიყენი, რომელიც სიტყვების შეუპყრია ყოველივე იმისადმი, რასაც სიტყვისკენ, ძმობისა და ნათელისკენ მიყვარათ. საქმე მარტო წმინდა უწყებრივი გამოცემის ამ სტატიაზე როდია, რომელსაც პრეტენზიული სათაურია აქვს — „ურემისა და ორი ყურადღის ამბავი“. მის ოდნავდაც არ ძალუძს გავლენა მოახდინოს და მით უფრო გაართულოს ქართველებსა და აზერბაიჯანელებს მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის ძვირი ურთიერთობა. ამის მიუხედავად, ავტორი შეეცადა პრაქტიკულად გამოეყენებინა ერთი კოვზი შხაბი. არადა, საქმეში ჩაუჯობდავი კაცისთვისაც ნათელია, რომ ეს არის გარედან ინსპირირებული უხეში პროვოკაცია. დე მარტო ამიტომაც შეიძლება ყურადღება არ მივუქცეოთ ამ პასკვი-

ლისათვის. თუმცა ძალზე დამაფიქრებელია დრო, მომენტი, რომელიც ავტორმა თავისი ეპოსისათვის შეარჩია. ძალზე წყავის იგი წინასწარ დაგეგმილ პოლიტიკურ აქციას, რომლის მიზანია უკიდურესად გაამწვავოს ეროვნებათშორისი ურთიერთობა საქართველოს კიდევ ერთ რეგიონში. დიან, დღეს საქართველოში წინააღმდეგობრივი, ძნელი ვითარებაა შექმნილი, რაც მთელი რიგი მიზეზებით არის განპირობებული, უწინარეს ყოვლისა ეკონომიკური და პოლიტიკური. ექსტრემისტების გამოსვლები სამაჩაბლოში, ცენტრის მიერ მოწყობილი ეკონომიკური ბლოკადა, შინაგარე დესტრუქციული ძალები — ყოველივე ეს საშუალებას არ აძლევს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას შეიძლოდ იყოს დასაქმებული იმით, რისთვისაც ჩვენ ყველამ, ხაზს ვუსვამ — ჩვენ ყველამ, საქართველოში მცხოვრებმა, ეროვნების, რწმენის მიუხედავად, ერთსულდონად მივიციოთ მას ხმა პირველად მოწყობილ დემოკრატიულ არჩევნებში. ლაპარაკი საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის, თავისუფლების მოპოვებაზე, რაც, ვფიქრობ, ასევე სასურველია აზერბაიჯანის მკვიდრი მცხოვრებლებისათვისაც.

მაგრამ, როგორც იტყვიან, თითო მახინჯი ყოველ ოჯახშია. და აზერბაიჯანელთა შორის იქეთ მახინჯი აღმოჩნდა პროვოკატორი შამშირი. გასაოცარია, ეს კაცი როგორ მსჯელობს იმაზე, რაც ურთიერთობაში არაა გაუგებია. მსოფლიოს ბევრმა ხალხმა უნდა ისწავლოს ქართველებისაგან გულთადადობა, სტუმართმოყვარეობა, თბილი ურთიერთდამოკიდებულება. შამშირისათვისაც ზედმეტი არ იქნებოდა, სანამ კალამს აიღებდა ხელში, დაფიქრებულიყო, ეს ასე რომ არ იყოს, განა შეიძლებაოთა ათასობით აზერბაიჯანელს დამოუკიდებელი ეცხოვრა, ეშრომა, შეეკმინა ოჯახი, აღეზარა ბავშვები ქართულ მიწა-წყალზე. მე თვითონ, ასე ვთქვათ, ქართველი აზერბაიჯანელი, ვაღიბებული ვარ ყოველივე ამისათვის ვუმიდლოდე ამ მაღლიან მხარეს, აქ მცხოვრებ ადამიანებს. და რაოდენ უნდა დავიცუე ადამიანი, რომ შეეცადოს ქართველებს ვერაგობაში დასწამოს ცილი, როგორც ამას შამშირი აცხადებს. იგი არ ერიდება ფაქტების აღრევას და ექვემდებარება მთავრობათა დონეზე ახლახან დადებული შეთანხმების ორმხრივ სარგებლიანობას. ჭედავთ, თურმე საქართველოს სკირდება მაგარ, ნათობი, ელექტროენერგია. მაგრამ იმას შამშირი უბრალოდ „ვერ ამჩნევს“, რომ ამ სიკეთით მისი ათასობით თანამემამულეც სარგებლობს. რომ ანაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მარტო გაზითა და ნავთობით როდი ცოცხლობს

ადამიანი. თუ შამშირს ასე შესტკივა გული თავის თანამემამულეებზე საქართველოში, რატომ იმას არ ამბობს: აზერბაიჯანელებო! გადასახლდით. თქვენ ისტორიულ სამშობლოში, იქ ყველა პირობას შეგიქმნით. იმეტომ, რომ იცის, ეს განუხრავი ცილებელია. შხაბნარევი რჩევა-დარიგების მიცემა, ყალბი წუხილი — თითქოსდა აზერბაიჯანელთა მწარე ხვედრზე საქართველოში — უხეში პოლიტიკური პროვოკაციაა, რომელიც მიზნად ისახავს შექმნას დამაბულობის მორიგე კეპა, რადგან მას, ჩანს მოსვენებას არ აძლევს მდგომარეობის თანდათანობითი სტაბილიზაცია ყოველ საქმრეთ ოსეთში. ამასთან კარგი იქნებოდა, იგი დაფიქრებულიყო იმაზე — ასეთი პროვოკაციები მართლაც ხომ არ გამოიწვევს გარკვეულ ცვლილებებს ჩვენში, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელებისადმი დამოკიდებულებაში? შეიძლება კიდევ გავგვარებოლებინა შამშირის სტატიის პროვოკაციული დებულებების შეხლება, მაგრამ ეს არაა საქმრეთ. ცხადზე-უცხადისა, ესაა სიტყუე და ცილისწამება, რამაც შეუძლოდ ბოლია საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა რისხვა და აღფრთოვანება არ გამოიწვიოს. არამკითხვოვთუბა არ გამოიწვიოს. არამკითხვოვთუბა არ გამოიწვიოს. არამკითხვოვთუბა არ გამოიწვიოს. არამკითხვოვთუბა არ გამოიწვიოს.

უფლებას აძლევს კეუა გვასწავლოს და გვიჩიოს, უნდა იცოდეს: ასეთი პროვოკაციები ვერ პოვებენ საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა მხარდაჭერას, დაე, ტყუილბრალოდ ნუ ირყება იგი და ამასთან ლეფს ნუ ასხამს აზერბაიჯანელ ხალხს, რომელიც იყო, არის და იქნება ქართველი ხალხის მეგობარი, ძმა, კეთილი მეზობელი. და კიდევ: ჩვენთვის, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელებისათვის, საქართველოში მცხოვრებნი, სადაც დავიბადეთ და გავიზარდეთ. და არა-ვის მივცემთ უფლებას, თუნდაც შორეულ თანამემამულესაც, წა-ციონალიზმისა და შოვინიზმის შხაბით მოწამლოს ჩვენი დამოკიდებულება ქართველებთან. ხოლო გაზეთ „ელმში“, ისე როგორც აზერბაიჯანის მეცნიერებთა აკადემიის ხელმძღვანელებმა, კარგი იქნებოდა უფრო გულმოდგინედ და დაფიქრებულად შეერჩია მასალები საუბლოკაციოდ, ასევე დროულად გააჩიოს ნაღველი ეურნალისტები პროვოკატორებთან.

### მამალ მურაბხანოვი, საქართველოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის ფედერაციის რეგერენტი.

ხალ ახლახან, ნებისმიერი დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა დიდი უმრავლესობა ყოველთგვრი ზედმეტივებით ზუსტად იმ-დროს გადასახლდა კომპარტიის წევრობისათვის. ყველამ კარგად ვიცით, რომ ამ სკრუპულოზურობის მიზეზი ათასიდან ერთი თუ იყო პარტიისადმი ერთგულებით გამოწყვეული.

პარტიის საწევროთი დაბეგრული იყო ყოველგვარი ოფიციალური შემოსავალი (პენსია, პრემია, ჯილდო და სხვა). არ არსებობდა არავითარი შეღავათი, იმ შემთხვევაშიც კი, როცა პიროვნება მთელი თავის ხელფასს, დავუშვა ვით, უბედურებაში მყოფ ადამიანთა დასახმარებლად გადარიცხავდა, საწევროს გადაუხდელივით გამო პარტიის რეგებლად გარიცხვა იყო დაწესებული, რაც სამსახურიდან გაგდებას და ასედაც

გაწვალებული ცხოვრების დანგრევას ნიშნავდა. დღეს კომუნისტური პარტიის ყოფილი წევრები განთავისუფლებული არიან ამ არცთუ მსუბუქი ბეგარისაგან. ამჟამად ჩვენს სამშობლოში არსებობს სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდები. ჩემის აზრით, ჩვენი გავრცელება დიდად არ გაიზრდება, თუ ყოველთვიურად შევიტანთ რამდენიმე

მანეთს (ორს, სამს, ოთხს) ჩემი-ღნეფ ასეთ ფონდში. ეს შექმნის გარანტიას, რომ საოზოგადობის ქველმოქმედებას ექნება სტაბილური შემოსავალი. ერთი სიტყვით, ეს იქნება ჩვენი მამულიშვილური მცირე ვალის გადახდა, რაც ყოველთვის უფრო ადვილი და სასიამოვნოა, ვიდრე ნებისმიერი დავალების შესრულება.

შეიძლება ვინმეს არ სურდეს „ზედმეტად“ დახმაროს, მაგრამ როცა ჩვენი რწმენა ადამიანის შველას, მაშინ ხელისშემშლელი პირობი სურვილის უარყოფა საერთოებით გვემსახურს, რაც აუცილებელია კეთილი სამსახურის აღსრულებისათვის.

### ბიოგრაფია ნადირაძე, თხუ საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტი.

ახალგაზრდა კაცის წასვლა წუთისოფლიდან ყოველთვის იწვევს ცხოვრებისეულ უსამართლობით გამოწვეულ გულსტკივილს. მით უფრო გულდასაწყვეტია, როდესაც ეს ადამიანი უსაზღვრო სიბუნების, სიყვარულს და სიმშვიდეს ამკვიდრებდა გარშემო. სწორედ ასეთი იყო ზაზა სოკოლოვი, ღირსეული ოჯახშიშვილი, კემპარტი ინტელიგენტი, ერთგული მეგობარი, რიონდული სულსკვეთებით და სათნოებით აღსავსე ვაჟკაცი. თავისი ხანმოკლე ცხოვრების ყოველ ეტაპზე, იქნებოდა ეს სკოლა, თბილისის უნივერსიტეტი, მოსკოვის უნივერსიტეტის ასპირანტურა, თუ მისი შემდგომი მოღვაწეობა მშობლიურ საქართველოში, ზაზა მკვლევარი ერთგული და მაღალპროფესიული დამოკიდებულებასთან ერთად დაუღლილად, თავმდაბლად და ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე ქმნდა კაცობრივ-ყვარუბისა და ურთიერთობის-ცემის ნათელ გარემოს. სწორედ ზაზა სოკოლოვი იყო მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა და ასპირანტთა სათვისტომოს სული



და გული, მრავალი ყოფითი თუ სულიერი კრიზისის გამაზიარებელი და მკურნალი. უნივერსიტეტის განათლებისა და ღრმა ინტელექტის ადამიანი, უღიღინე ენერგიით ჩაება საქართველოში ახალგაზრდა მეცნიერთა მთელი თაობის აღზრდის და ჯამოყალიბების ურთულეს პროცესში და მრავალ ნიჭიერ ახალგაზრდას გაუკაფა გზა ნამდვილი მეცნიერებისაკენ. საუბედუროდ, ორმოც წელს მიღწეულ ჩვენს მეგობარს არ დასცალდა ოჯახის შექმნა, მაგრამ ის სულიერი მუხტი, სიბრძნე და კაცობრივადობა, რომელიც მის მთავარ მომავლობას უნდა რგებოდა, მერწყულის ნიშნის ქვეშ დაბადებულმა ზაზამ კემპარტიულ მერწყულისაგვ გულუხვობით მიმოაფრქვია მის ახლობლებსა და მეგობრებში. გემშვიდობებით, ძმაო! გავგიჟობრება უშენოდ. იმითა ვინუგებთ თავს, რომ შენი დანთელი სული მუდამ ჩვენთან დარჩება.

გვარდნი.

## თავს დაეხსნან მილიციას

5 თებერვალს, დღის პირველ საათზე, მცხეთის შინაგან საქმეთა რაიანყოფილებს თავს დაესხა სოფელ მუხრანის მცხოვრებთა 300-კაციანი ჯგუფი, რომელსაც წინ ქალები და ბავშვები მოუძღოდნენ. მათ შეაღწიეს შენობაში, დაამტრეს კარები, ფანჯრები, ავეჯი. შემდეგ შეამტრეს სამორიგო ნაწილის კარები და იარაღის შესახანი ოთახიდან გაიტაცეს 12 ცალი მაკაროვის სისტემის პისტოლეტი, დროები-

თი დაკავების იზოლიატორიდან გაათავისუფლეს ორი მკვლელობის ბრალდებული პატიმარი. შემთხვევის ადგილზე ჩამოვიდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ქ. თბილისის შს სამმართველოსა და შს რაიანყოფილებათა თანამშრომლები, რომელთაც წესრიგი აღადგინეს. ამასთან ამოიღეს გატაცებული იარაღი, დააბრუნეს პატიმრები, დააკვეს უწყისრიგობის 30 აქტიური მონაწილე, მათ შიგნით აღმძრულია სისხლის სამართლის საქმე. როგორც დაკავებულებმა განაცხადეს, ისინი აღაშფოთა 27 იანვარს სოფელ მუხრანში მომხდარი მკვლელობის გამოძიების მსვლელობაში.

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პატიმარები.**















## ფირმა „ეკონომიკა“ — გსურთ ნაღდი საჩუქი, მოგარანდით და იხვე სამართი შეგვახმონათ!

საქართველოს არენდატორთა, აქციონერთა და თავისუფალ მეწარმეთა კავშირთან არსებული ფირმა „ეკონომიკა“ ერთ-ერთი პირველი იყო ვინც დაიწყო საქართველოს ეკონომიკაში სიახლეთა დანერგვა. ეს კარგად იცის არაერთმა სამეურნეო ორგანიზაციის წარმომადგენელმა.

ფირმა „ეკონომიკა“ ვთავაზობთ ახალი სახის მომსახურებას: სახელმწიფო და არენდულ საწარმოების, ორგანიზაციების, კოოპერატივების და სხვათა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ე. წ. ანონიმურ (გასაიდუმლოებულ) რევიზიას; რევიზიის შედეგები ცნობილი ვახდება მხოლოდ საწარმოს ხელმძღვანელობისათვის. ფირმა ვალდებულია იღებს კომპერტული საიდუმლოს შენახვაზე და პასუხს აგებს ეკონომიკურად და იურიდიულად.

რევიზიის შედეგების საფუძველზე თავისდროულად გამოვადგინებთ სუსტ ადგილებს თქვენი ორგანიზაციის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაში და გავიწვევთ სათანადო კონსულტაციებს მდგომარეობის გამოსწორების მიზნით.

ნებისმიერმა ხელმძღვანელმა უნდა იცოდეს, რომ საქუთარი საწარმოს რეალური ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის ცოდნა მისი გაძლიერების საწინააღმდეგარაა.

გარდა ამისა ფირმა „ეკონომიკა“

დაგიმუშავებთ სახელმწიფო საწარმოს პრეპარაციისათვის (კოლექტიურ ან კერძო საკუთრებაში გადაცემით), მცირე საწარმოების, კოოპერატივების, სააქციო საზოგადოებების, ასოციაციების, კონსტრუქციების შექმნისათვის, არენდაზე გამოსყიდვის უფლებით გადაყვანისათვის საჭირო დოკუმენტაციის სრულ კომპლექტს.

ფირმა იღებს ვალდებულებას სამუშაოთა შესრულების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში სისტემატური კონსულტაციები და ყველა შესაძლებელი დახმარება გაუწიოს ამ სამუშაოთა დამკვეთ საწარმოს.

ფირმა „ეკონომიკა“ შეუძლია უმოკლეს ვადაში ორგანიზაცია გაუკეთოს თქვენი პროდუქციის, მომსახურების სატელევიზიო რეკლამას.

მაშ ასე, გვლით ფირმა „ეკონომიკაში“ რომელსაც უკვე დაუგროვდა რამდენიმე წლის გამოცდილება მეურნეობრიობის ახალი ფორმების პრაქტიკაში დანერგვის, ბიზნესმენთა კონსულტირების სფეროში.

ჩვენთან მუშაობენ სპეციალისტები, რომლებმაც იციან თავიანთი საქმე. მათ შეგიძლიათ ენდოთ.

ჩვენი მისამართია: თბილისი, წინამძღვარიშვილის (ყოფილი კლარა ცეტკინის) ქ. № 128 ფირმა „ეკონომიკა“.

ტელ. 95-92-57.

**სამთო მითხლავართა საზრდადნაოლ**  
ვისაც გსურთ თხილამურებზე სამაგრების სასწრაფოდ დაყენება, შეგიძლიათ მიმართოთ გამოცდილ სპეციალისტებს მისამართზე:  
დიდმის მასივი, მე-3 კვ., 39-ე კორპ., მე-2 სადარბაზო, მე-6 სართული, ბინა 64, საფეხბურთო სკოლა „ავაზას“ პირდაპირ **სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“**

**25 წელი ქართული როკ-ჯგუფები როკ-მუსიკის სამსახურში**  
ი.ვეკუას სახელობის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი გიწვევთ სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში 14-15-16-17 თებერვალს პიტი პარალზე.  
**საონსორები:** ამერიკა-საქართველოს ერთობლივი შემოქმედებითი გაერთიანება „ლიმეო-არკს“, ფირმა „არგო“, ფირმა „ვესტა“.  
შემოსავალი გადაირიცხება სამაზაბლოს აღორძინების ფონდში.  
სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“



**წინა** ორშაბათს ამიერკავკასიის რკინიგზელთა კულტურის სახლში პრემიერა იყო ბავშვთა თეატრმა „ბერიკონი“ წარმოდგინა თამაზ ბაძაღუს პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „გა ტაძრისაკენ“. დამდგმელი რეჟისორი — რამაზ გულუა, მხატვარი — თამაზ ბაბტურიძე, მუსიკალური გამფორმებელი — ხათუნა ჩხვიჭიძე. სახლის შუქი ეფინება სცენიდან დაბაზს. მოისმის მუვიდი, მავდრეგული ხმები: მე ვარ უფალი, ღმერთი შენი... არა ჰქმნა თავისა შენისა კერბი... მოიხსენე შაბათი იგი და წმიდა ჰყავ... პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა... არა კაც ჰკლა... არა იმრუშო... არა ცილი სწამო... და, უცებ ჩვენი დრო. უფროსები და მოზარდები: ურცხვნიც, თავმდაბლნიც, იხერტულნიც, მეოცნებენიც... ორი სამყარო: სკოლა და ოჯახი. მესამეც — ქუჩა. ბუნებრივი მძაფრი სიუჟეტების, ორიგინალური კონსტრუქციისა და მუსიკის წყალობით თამაში ერთვება მაყურებელი. ერთად გვეყვით და ვკითხულობთ: რა მოუხერხოთ დედამეილობაში (თუნდაც მამამეილობაში) თურმე არსებულ, გადაულახავ ბარიერს — კარჩქეტილობას? თანდათან ვგრძნობთ, როგორ გვირდება თანადგომა, ყურადღება, როგორ გვინდა, რომ უსიტყვოდ გვესმოდეს ერთმანეთის... ისევ გადასვლა, ისევ სანთლები და ლოცვა: მამაო ჩვენო... იყავნ ნება შენი... „ბერიკონი“ რკინიგზელთა კულტურის სახლთან არსებული ბავშვთა თეატრია. ყვარულში, კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმში მოინათლა 1986 წლის შემოდგომაზე. იქ გამართული პოეზიის საღა-

## ყოველ ორშაბათს, 7 საათზე...

მო საინტერესო შემოქმედებითი საქმიანობის დასაწყისად იქცა. წელს თეატრს არსებობის 5 წელი უსრულდება. რეპერტუარში უკვე ცხრა სპექტაკლი აქვთ. მარტში შემოქმედებითი საღამოს გამართვას აპირებენ. დასში 36 ბავშვია. ყველაზე პატარა — თეიმურაზ კორტავა — 8 წლისაა. ყველაზე უფროსია 16 წლის ანა ვარდოსანიძე. მათ იმოგზაურეს საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში, იყვნენ საზღვარგარეთ. მათ პოლონელ და რუმინელ თანატოლებს ალბათ, დიდხანს ემახსოვრებათ პატარა ქართული მსახიობების მიერ შექმნილი სცენური სახეები.

თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ რამაზ გულუა რკინიგზელთა სახლის დირექციამ მიიწვია. ახალგაზრდა რეჟისორს უყვარს თავისი საქმე, უყვარს ეს პატარა გოგო-ბავშვები, ყოველ საღა-

ტარა თეატრი დიდი თეატრალური სამყაროს პირველი საფეხურია. „ბერიკონის“ ყოფილი მსახიობები — მაკა ჰყოიძე, თამარ ყორდანი და თამარ ცხვიტარია დღეს თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები არიან.

— აკადემიური თეატრები თუ ინტერესდებიან თქვენი მუშაობით? — მარჯანიშვილის და რუსთაველის თეატრების მსახიობები, და არა დირექტორები ჩვენი მეგობრები არიან: ზინაიდა კვერენჩილაძე, ნოდარ მგალობლიშვილი, ჯემალ დალიანიძე, გურამ საღარაძე...

— რა პრობლემები გაქვთ? — მაყურებელი არა გვყავს. დღეს ყველა თეატრი ამ დღეშია მაგრამ... რით ერთობა ამ დროს მოზარდი თათბა?

— ჩვენი განხეთქილი საშუალებით რას ეტყოდით ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას?

— მხოლოდ ერთს: „ბერიკონი“ ის თეატრია, რომელიც თავისი



მოს სარეპეტიციოდ რომ მიიჩქარაინ.

— ჩვენი თეატრის უპირველესი მიზანია ვასწავლოთ, ვურჩიოთ, დავებმართო, სიამოვნება მივანიჭოთ მაყურებელს. ძირითადად ეს ის თამაზა, რომელიც ცხოვრებას ახლა იწყებს. და კიდევ, ჩვენი სურვილია აღვზარდოთ თეატრის ქეშმარიტი თავყვანისმცემლები.

— თქვენი „სკოლის“ გავლის მერე სად მიდიან მსახიობები? — ვინ საით... ისე კი, ჩვენი პა-

შრომით, ნიკით ბევრს მიაღწევს არ დაიჩრდილება. გვეწვით.

— წარმატებას გისურვებთ: შეგახსენებთ, ბავშვთა თეატრი „ბერიკონი“ ყოველ ორშაბათს, 7 საათზე თქვენ გელოდებათ!

**ია ააუაუვილი**

**სურათთაზე: სცენები სპექტაკლიდან „გა ტაძრისაკენ“.**  
**გენადი სანაიას ფოტოები.**

პუმანტარული ასოციაცია „კატარზისის“ სათნობის ორდენი აცნობებს ყველას, ვინც მონაწილეობას იღებს ხოლმე ქაშუეთის ტაძრის ეზოში მიმდინარე სათნობის აქციებში, აგრეთვე მართონელა ხანდაზმულებს, რომ შაბათს შეკრება ქაშუეთის ტაძრის ეზოში არ ვამართება.

გლდანის რაიონის სახალხო განათლების ქსელის თანამშრომელთა მოსაკითხს ასოციაციის წევრები ხანდაზმულებს ბინაზე მიავლიან.

**წათნობის ორდენი** (პუმანტარული ასოციაცია „კატარზისის“)

### საინფორმაციო ცნობა

1991 წლის 6 თებერვალს დღის 16 საათზე, პროფკავშირების საქართველოს ადამიანთა უფლებების დაცვის ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენცია. კონფერენციას ესწრებოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე ინტელიგენციის თვალსაჩინო, მოღვაწეები. კონფერენციაზე მოსასაუბრელო სიტყვით გამოვიდნენ: ედიშერ გიორგაძე (ჭორაძის საზ. თავმჯდომარე) ანდრო გოგოლაძე (საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი), სლავა მანიუკოვი, თამარ გლურჯიძე (სახალხო ფრონტი), ვიორგი გიფიყერილი. კონფერენციამ დააფუძნა ასოციაცია, მიიღო წესდება და პროგრამა. აირჩია მთავარი კომიტეტი 11 წევრის შემადგენლობით: 1. ნიკოლოზ სამხარაძე, 2. მთავარეპისკოპოსი თაღეოზი (იორამაშვილი), 3. ვია კერავლიშვილი, 4. ნოე მქედლიშვილი, 5. ვიორგი თევზაძე, 6. მამუკა ნიშნიანიძე, 7. ნუგ-

### ვიზების ხათარგმნელად და ანკეტირების შესაქმნელად

გთხოვთ მიმართოთ ფირმა „ზევისს“, რომლის ადგილსამყოფელიც გადართანია პეტრიაშვილის ჩიხიდან პეტრიაშვილის ქ. № 3-ში. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში. ფირმა „ზევისი“ თქვენ მიგიღებთ ყოველდღე, დასვენების დღეების ჩათვლით, 9-დან 21 საათამდე. გთხოვთ გვეწვიოთ.

**იპოტეკა**  
**იპონენიკატორს ნაბენ**  
კონსტრუქციები  
გეოდეზია  
პროექტირება  
სამშენობლო სამუშაოები

**ბიზნესი**  
ბიზნეს-პლანები  
ბიზნეს-ინსტიტუტი  
ბიზნეს-კონსულტანტი  
ბიზნეს-ანალიტიკა

**ბიზნესი**  
ბიზნეს-პლანები  
ბიზნეს-ინსტიტუტი  
ბიზნეს-კონსულტანტი  
ბიზნეს-ანალიტიკა

**ბიზნესი**  
ბიზნეს-პლანები  
ბიზნეს-ინსტიტუტი  
ბიზნეს-კონსულტანტი  
ბიზნეს-ანალიტიკა